

საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ილჰამ ალიევს აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

პრემიერსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტს შორის დღეს სატელეფონო საუბარი შედგა. ბიძინა ივანიშვილმა
ილჰამ ალიევს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარების საქმეში წარმატება უსურვა. მხარეებმა ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

საქართველოს პრემიერმინისტრმა ოფიციალური მილოცვა ილჰამ ალიევს გუშინ გაუგზავნა.

1 / 1